

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԳՈՐԾԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ

ՀՈՐԵՅԻ 6
1976

146
1976





ქართული

ოთხი დღის განმავლობაში მსაპინ-
ძლობდა ჩვენი დედაქალაქი პიონერ-
ხელმძღვანელთა რესპუბლიკური
შეკრების დღეევატებს. საუკეთესო-
ნი უკეთესთა შორის, პიონერული
მომზარების დღევანდელი წინამძღო-
ლები შეიკრიბნენ რათა დიდ, საქმი-
ან შეკრებაზე, ერთმანეთისათვის გა-
ეზიარებინათ თავიანთი მუშაობის გა-
მოცდილება და დაესახათ მშობლი-
ური პარტიის 25-ე ყრილობის გადა-
წყვეტილებათა შესაბამისად, მომ-
ავალი თაობის — ნორჩი ლენინელებ-
ის კომუნისტური აღზრდის შედ-
გოში სრულყოფის გზები.

შეკრებაზე მიღებული იქნა მიმარ-
თვა, რომელიც ვაზდება მომავალი
მუშაობის ორიენტირი ჩვენი რეს-
პუბლიკის ყველა პიონერხელმძღვანე-
ლისათვის.

რესპუბლიკურმა შეკრებამ, პი-
ონერხელმძღვანელთა საკავშირო შე-
კრებაში მონაწილეობის მისაღებად,
საუკეთესო პიონერხელმძღვანელთა
დღი ჯგუფი წარგზავნა.



გაზანი მოხიჯვა



ფოტო
ვ. ზორისანაშოსი
და
ა. ააპვანაშინა.



ძვირფასო ახმანაბაშვილი

საქართველოს პიონერულმა დაწესებულებებმა რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება ისეთ ვითარებაში, როცა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანებით, მისი გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი წარმატებებით, მზარდი ენთუზიაზმითა და შემართებით აღნიშნავს ექვსტიანობისა და ბარისხის ბუთწილების — მეათე ბუთწილების უკველ შრომით დღეს.

დღეს, როცა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა მთელი საზოგადოების განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი გახდა, თითოეული ჩვენთაგანისათვის უდიდესი პატივია ასრულებდეს ნორჩ ლენინელთა წინამძღოლისა და მათი სისხლსაცემ ცხოვრების აქტიურად წარმართველი ძალის რთულ და სახალისებელ მოვალეობას.

ჩვენ კარგად გვგმის, რომ იდგე ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმთან, უფრადველ მას კომუნისტური იდეურობის ძვირფას გრძნობებს, უყალიბებდე სწორ ცხოვრებისეულ პოზიციას, ზრდიდე მას საბჭოთა საშობლობაში უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, ძვირფას სულიერ საზრდოს აწვდიდე ცხოვრების ფართო გზაზე გასასვლელად, — ყოველივე ეს უზიანი წლების პიონერულმა დაწესებულებებმა მათთვის ფართო განათლებას, სიახლის გრძნობას, ჩვენი სწრაფადგანვითარებადი ეპოქის კვალდაკავალ ხიარულს, ამ კენშარტად კეთილშობილური საქმისადაში უანგარო სამსახურისთვის ყოველმხრივ მზადყოფნას.

შეკრების მსვლელობაში, პიონერული მუშაობის სხვადასხვა მართლებით მიღწეულ წარმატებებთან ერთად გვაჩვენა, რომ ჭერ კიდევ სუსტია მსწრეველებზე პიონერული ორგანიზაციების აღზრდელითი ზემოქმედების ძალა, ვამდიდრებასა და სრულყოფას მოითხოვს ნორჩ ლენინელთა საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმათა არსენალი, კვლავაც შეურაცხებელი და თანმიმდევრული ბრძოლა საჭირო პიონერულ ცხოვრებაში ფორმალიზმის გამოვლენებათა აღსაკვეთად, მოწინავე გამოცდილების განვითარებისა და ფართოდ გავრცელებისათვის.

ვგრძნობთ რა პიონერულ მუშაობა წინაშე მდგომი ამოცანების უდიდეს მნიშვნელობას, ნორჩი თაობის კომუნისტურ სულისკვეთებით აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების დიდ საქირიებას, მოგმართავთ თქვენ, ჩვენი თანამოსამუშევრო, მთელი ძალით დავიარაზ-

მო ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ახმანაბაშვილის ბრძენების მიერ გაკეთებული საანგარიშო მოხსენების დასვენებისა და აღზრდების შესახებდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომ განვითარების საქმეში დასახული პრიორიტეტის განსახორციელებლად, ჩვენი ცოდნა, უნარი და გამოცდილება მაქსიმალურად მოვახმაროთ ჩვენი საზოგადოების ღირსეულ ცვლის მომზადებას.

ყველას, ვისაც უწევს პიონერულმა დაწესებულების მოვალეობის შესრულება, ვინც თავისი შრომით, მონდომებითა და მოწოდებით უანგაროდ ემსახურება ამ საპატიო საქმეს, მოვეურთღებოთ — უფრო მეტივე ნაბიჯები ავუწყოთ ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაქანებისათვის გაწეული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის, თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებისათვის.

თითოეულ ჩვენთაგანს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი—რაც უფრო ჭანხად, მორალურად სტეკური, პატიოსანი და ნაკლებადანებნისადა, კომუნისტური მორალის ანტიოდებისადა შეუირადებელი აღიზრდების ნორჩი თაობა, მით უფრო მითი და მძლავრი იქნება ჩვენი საშობლობის ზეალენებისა და მით უფრო ნათლად ფერებით იქნება გაცისკრვენებული მისი მომავალი. საქმით და ყოველდღიური მოწოდებით ემსახურებოდე ნორჩ თაობაში კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებას, აღაცხებდე მას კომუნისტური საქმისადა უსაზღვრო რწმენით — ეს ნიშნავს ცხოვრებაში ამკვიდრებდე მუშაობის ლენინურ სტელს, აქტურად ემინანებოდე ჩვენი ეპოქის მძლავრ მაქისცეპას. ჩვენ გვჯამს, რომ რესპუბლიკური შეკრება გადაიქცევა პიონერული მუშაობის საინტერესოდ და ნაყოფიერად წარმართვის საქმეში თითოეული ჩვენთაგანის როლის შემდგომი ზრდის, ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებისადა შემოქმედებითი მიდგომის, მთელი ჩვენი აღზრდელითი საქმიანობის გააქტიურების ახალ ეტაპად.

მაშ, კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და პირადი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ვემსახურეთ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, გულის სიღრმეში საუთლად შევიანხოთ ჩვენი დიდი საშობლობაში უსაზღვრო სიყვარული გრძნობა, ვასწავლოთ ნორჩ ლენინელებს ახალი ცხოვრების შენება, სწავლა, შრომა, ბრძოლა და გამარჯვება ლენინურად!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!



ქ. შარტავის სკოლაში, საქართველოს პიონერული ორგანიზაცია



შპაწვილემო, მითაპარინა პარამლ
 ბაიპაყვიმ ტრაპტორინს უჭარჟურე...
 პანინოჟო, — უაზანაზე, ბეჭვებეზე გეპე
 წავლთბელი ჟურაბ უთშელნიტ.



სულდგემულობს სოფლელი კაცი.
 — წლევანდელი ზამთრის ვადამ-
 კილეს ხუთი თვე თითი არ გამინძ-
 რევისა და ახლა საქმე ისე წამომეძა-
 ლა, რომელი ერთი გავაკეთო, აღარ
 ვიცი. — დიხივლა ვერთა.
 — სოფელში ახალგაზრდა არ რჩე-
 ბა, ბატონო, და მართო ჩვენ ქვე რა
 უნდა ექნათ? — აჰყვა საუბარში ჳ-
 ლარა ძგზავრი.
 — თამეჯლომარე ამბობს, მეტი ვზა
 არა გვაქვს, ყველანი ბალ-ვენახებში
 უნდა დავსახლდეთ, სულ ერთია, ქა-

მტ 75 მ-სკოცაზი



მიგლა აბალაძე

გვიანი გაზაფხულის ცინცხალი დი-
 ლა იყო. ტრატით მიუყვებოდა პატარ-
 ა ავტობუსი რიონის ხეობას.
 ავტობუსი საეყ იყო. მგზავრები
 ისხნენ სკამებზე, გასასვლელში ჩამ-
 წკრივებულ ჩემოდნებზე, ბოხჩებზე,
 ჰყვებოდნენ ამ მთისას და იმ ბარი-
 სას. ჰყვებოდნენ რაჰული სიღნიჯთ,

აუჩქარებლად, საუბრობდნენ და იო-
 ბის მოთმინებით ელოდნენ, როდის
 დასრულდებოდა ეს გულისწამდეტი
 ჳაყჳაყი.

საუბრის თემა ძირითადად ცხოვ-
 რებისეული, ყოველდღიური ავკარჯი
 იყო: ვახი და პირუტყვი, სახნავი და
 სათესი, ხეხილი და სათიბები. ის, რი-
 თაც ოდითგანვე სულდგემულობდა და

ლი იქნება თუ კაციო.
 — რაო, სახლები მივატოვოთო?
 კარჯი და პატისასი, მავრამ... ბავშ-
 ვებს მიჩენდა არ უნდათ? სკოლა, გაყ-
 ვეთილები...
 — ასეთ დროს სკოლაყ უნდა დაყ-
 ვებშაროსო.
 — დრო შეიყვალა, ბიძია, წინათ
 ბავშვები მიმებს მზარში ვედექით, ახ-



პიონერჯი

6
 იპინი
 1976

საპაიბაყლს ულა მკ.ის და პ. ი. ლინინს
 საპარინს ნორე პიონერაბო რკანინასიტი
 რკანაპაიბაყლი საპარინს
 პიონერაბოი საპარინს პიონერაბო

ბაიორის 1926 წლიდან



ჟრომა ღავიფასდა, ბავშვებო
 ტრაპტორი გვაჩუქეს. — თეჳა სკოლის ღირეპტორამ ღაღაჟ ორინაწა.

საპ. კა. მკ. მს. ბაიონერაბო

ლა ბავშვები სულ სხვანაირები არიან, — ჩილაპარაკა ხეირმა.

— არც ასეა საქმე, ჩვენს კოლმურნიობას შარშან ზაფხულში სკოლაში დიდი დამმარება გაუწია.

— ეს რომელ სკოლაზე ამბობ?

— სადმელის საშუალო სკოლაზე.

— პაა, დაღაშ ონიანი რომაა დირექტორი?!

— დიან, ბატონო!

— თავიდან ვეთქვა, შე კაცო. მავ სკოლის ამბავი ქვეყანამ იცის...

— კიდევაც დაუფასდათ. განათლების სამინისტრომ ტყუილად ხომ არ აჩუქა ტრაქტორი.

— სადმელის საშუალო სკოლა... დაღაშ ონიანი... ვფიქრობ და თვალწინ დამიღვა რამდენიმე წლის წინანდელი ზაფხულის ერთი თაქარა დღე.

იმ წელიწადს პირველად ვახლდით ამბროლაურში. სამუშაო ბევრი მქონდა, დრო კი — ოტკა და მთელი კვირა თავაუღებლევ ვშრომობდი.

კვირის ბოლოს მოვიცალე და გულში მასპინძელმა ნიკორწმინდის დიდებული ტაძრისაკენ შემომთავაზა გასივრება.

გავუღვივით ვიწრო და ოღრო-ჩოღრო გზას, მაგრამ ეს სულაც არ გვაწყებდა.

მანქანას მკვირივი აგებულების, სანდომიანი სახის, საშუალო სიმაღლის შეუანას მიტანებული ჭილა-რა მამაკაცი მართავდა. ასეთი ვეჯაკის მართვენას წარაფებშიც კი ენდობა კაცი.

მზიარული მასლაათით ვამცავდით აღმართებს, რიგრიგობით ვყვებოდით ათასგვარ ამბებს.

მძლოლი ჩუმად იყო. თითქოს არც კი ესმოდა ჩვენს საუბარს.

— ამ კაცს ან დიდი საწუხარი გასჩენია, ანდა დიდი უხასიათო ვინმეა.

გავიფიქრე და თითქოს ამის პასუხად მასპინძელმა მძლოლს მიმართა:

— რას დაღუმებულხარ, შე კაცო?!

— ჩემს რიგს ველოდები.

— თუ ასეა, შენმა რიგმაც მოაღწია. აპა, დაიწყე. — თითქოს უბრძანაო, ისე წარმოთქვა მასპინძელმა.

ერთი შეხედვით ეს სიტყვაძვირი აღმართი საქმოდ ენაწყულიანი გამოდგა. სააშო ხმით ჰკეცებოდა მსუბუქი, უწყინარი იუმორით აღსავსე ამბებს თავისი კუთხისა და ზნეჩვეულებების შესახებ.

ეს კაცი დაღაშ ონიანი გამოდგა.

სულ რამდენიმე საათი დაუყავით მაშინ ერთად და მაინც, მისი სახე და კეთილი დიმილი სამუდამოდ შემორჩა მესხიერებას.

ჩანს, სკოლას უსაფუძვლოდ არ აქებენ. პოდა, სხვაგან რად წავიღე?

...და ზაპალო პირველი ხეული ხასკოლო ნაპყვითი.



საკმაოდ მოხერხებულ ადგილას აუღიით სადმელის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა.

გაკვეთილები — დამთავრებულიყო და სკოლის შენობაში ძეხორციელი არ ჰქაზნებდა.

სკოლა ჩვენს წარმოდგენაში მუდამ ბავშვებით არის სავსე, დაუოკებლად ბორჯავს სიცოცხლე, აღიღებულ მდინარესავით აწყდება კედელ-ღობებს.

ალბათ ამიტომაც ასე კვივი მეჩვენა ახლა იგი — დაცარიელებული სკოლის შენობა...

უღრუბლო ცაზე მზე ზენიტში იდგება და გაზაფხულის შრომითავე სხივად აფრქვევდა სკოლის ზეოსა და მის მოსახლერე, ფაქიხად შემორაგულ მოზრდილ მიწის ნაკვეთს.

ახალწყარი ფურცლის ზნეუნის მსგავსი ხმა მიესალბუნა ყურს, აიენდა მთივხედ-მოვიხედო, მთელი ნაკვეთი ბავშვებით იყო სავსე.

ნაკვეთის ქიშკართან ტრაქტორი იღდა.

კაბინაში სამი ბიჭი მოკალათებულიყო — ერთი უფროსკლასელი, ორი მეთოთხე-მეხუთეკლასელს ჰგავდნენ.

უფროსი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა რაღაცას, ბატარებს თვლი მასზე მიელურსმნათ.

თავზე ისე წამოვადეექი, არაფერი გაუგიათ.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— გავიმარჯვო, ბატონო! — ულიმლამოდ ჩაიბურტყუნეს ნირშეცვლილებმა.

— თქვენი დირექტორის ნახვა მიინდა, ვერ მიმასწავლით?

— ერთი ფეხით ვაგასწროთ, ბატონო. ჭუთაისში წავიდა, თათბირი ყოფილა. — თქვა უფროსმა და მანქანიდან ჩამოხტა.

— მოადგილე სადღაა?

— მოადგილე ნაკვეთშია, წამობრძანდით, — მკვირცხლად მიმასუხა უფროსმა და წინ გამიძღვა. პატარაბიცი გვერდში ამოუდგნენ.

საქმიანად ფუსფუსებდნენ ჯგუფჯგუფად დაყოფილი ბავშვები ნაკვეთში. ზოგს ხელთ ვაზის სასხლავი მაკრატელი ეჭირა და ვენახში ტრი-



მაცხრამალასილაში ლინფოფონის კაპინაშოში.





მითხლუნვანად გამოვი-
დანე ლანდნორ უბათო-
დახე — ან დღის უფრო
გაც დახარბავს ნანაბრი
სამორბული დარბაზის
დამთავრებას.

დღე უკან დამდევენ.
მეხვეწებიან.

— რაო, რა გეინ-
დაო.

— მექანიზატორობა
გვასწავლეო. მეც
ხათის ველარ ვუტეხ-
რაც ვიცი, ყველაფერს
ვასწავლო.

— რატომ თქვენ
არ დადინართ წრეში:
— ვეკითხები ბესიკსა
და მერაბს.

— პატარები ხართ,
ინსტრუქციით არ შე-
იძლებოთ.

— თუ ასეა, თქვენც
დაიცადეთ, წამოიხრ-
დებით და...

— ვერ ვითმენთ, პა-
ტრეცემულო, და რა
ქნათ!

— ბესიკის მამა ჩვე-
ნი მასწავლებელია, მა-
გრამ ბესიკს საჭეს არ
აკარებს, სხვებიც მთონდომებენო.

- მსურველი ბევრია?
- ბევრი!
- ახლა რამდენი ბავშვი სწავ-
ლობს მექანიზატობას?
- ყველანი, ვინც მეცხრე და მე-
ათე კლასშია.
- ყველა ბიჭი, ხომ?
- რატომ? გოგონებიც სწავლო-

ბენ, ზოგი ბიჭებზე კარგად მართანს.
— ეს მხარი, — ჩაუფრქველდა ჩვენი
მერაბი, — გუშინ გვამუშავეს მწიფე
ნეს.

— რა მარკისაა თქვენი ტრაქ-
ტორი?

— დტ-75.
— მარტო სასწავლო დანიშნულე-
ბა აქვს, თუ პრაქტიკულადაც იყე-
ნებო?

— აჲ, მთაში, ყველა ტრაქტორი
ვერ გამოადგება. ჩვენი ტრაქტორი კი
შეიძლება ცაქმა ამუშაოს.

— იმ დღეს მასწავლებელი ამბობ-
და, — მკვირცხლად წარმოთქვა მერაბ-
მა, — მარკვე მექანიზატორს ამ ტრა-
ქტორით შეუძლია წარმატებით იმუ-
შაოს 15 გრადუსით დახრილ ფერ-
დობზეო, — და ტრაქტორს სიყვ-
რულით გადახედა.

— რამდენ წელიწადს გრძელდება
სწავლება? — ვეკითხები გიას.

— ორ წელიწადს, ყოველმხრივ
ვეუფლებით ტრაქტორს. ყოველი
დღეც უნდა ვიყოფეთ, რა დანიშ-
ნულებისაა, ის კი არა, სახელოსნოც
გვაქვს და ნაწილების გამოჩარხვასაც
ესწავლობთ.

— ვინ უფრო ყოჩაღობს?

— ყველანი... მაგალითად, ბეჯან
რატიანი, გელა იაშვილი, ვიერ ლე-
ვაია, ლილა იშხენელი... აგერ, ახლაც
სახელოსნოში სხედან და რთულ დე-
ტალს — ლილე-ციცხეს კბილანებს
უწესავენ.

ამასობაში მუშაობით გართულ დი-
რექტორის მოადგილეს — ნიკო და-
რახველიძეს წავადექით თავს.

— ჩვენმა ბავშვებმა შარშან ზაფ-
ხელში მართლაც კარგად იშრომეს.
სამ კოლმეურნეობას მოვეცხმართ,
ყველანი კმაყოფილი დარჩნენ. ამ
ტრაქტორმა მთლად ფრთები გამოას-

ალებდა, ზოგი ხეხილის სამყნობი
დანითა და კანფით შეიარაღებული-
ყო, ნორჩ საძირებებს უკვე დაბერილ
კერტიან კლასს ამყნობდა, ზოგს
ხელთ კირიანი სათლი და ფუნჯი ეპ-
ყრა და ხეხილს ვარჯამდე ათეთრებ-
და, სხვები მუყაითი გლვხვიით თო-
ხითა და ბარით შესქიდებოდნენ მი-
წას.

ჩემი მეგზურები ერთობ მორიდ-
ბულნი ჩანდნენ. უხმოლ მიკყევილი-
ნენ ბილიკს. ბიჭებს ვინაობა გამოვ-
კითხე. მოკლედ მიხასუხეს. უფროსი,
გია ქელიძე, მეთაველასელი ყოფი-
ლა, უმცროსები — ბესიკ უთმელიძე
და მერაბ დარახველიძე — მეხუთე-
კლასელები.

მთელი სკოლა აჲ ყოფილა — ჩა-
ვილაპარაკე და ნაკვეთს ერთხელ კი-
დედ მოვავლე თვალი;

— ჩვენც იქვე, შემოსასვლელში
ვთოხნიდით, მერე ესენი გადამეკიდ-
ნენ და... — მორცხვად წარმოთქვა
გია.

— თქვენც ტრაქტორის კაბინაში
ამოკავით თავი, არა? — ღიმილით
დავასრულე მათი სათქმელი.

— რა უნა, აღარ ვიცი, ყოველ-



მითხა-
კლასელახსაც
აპხთ
თახინდით
საზრუნავი.



ხა ბაეშეებს. ამბობს ნიკო მასწავლებელი.

ოთხი საწარმოო ბრიგადა და რვა რეოლი ჩამოყალიბდა შარშანდელ შრომით მეოთხედში სადმელოს საშუალო სკოლაში. 130 მისწავლე გაერთიანდა მათში.

მალღობების გრძობითი ივონებდნენ სადმელოს კოლმურნებები მოსწავლეთა სასახელო საქმეებს. იმას, თუ როგორ გაიპიროვნეს ოთხი ჰექტარი ვენახი და ვაშის თან ჰყებოდნენ, ამ ჰექტარ საფარულზე ამოძირკვეს სარეველა და 800-მდე კაცდღე გამოიმუშავეს. 400-მდე კაცდღე ჩაიწერეს სოფელ ბოსტანის კოლმურნებითაჲც, ხოლო ხნაცვლებს 300 კაცდღე შეაშველეს.

არც ამბროლაურის სატყეო მუერნობა დარჩენიათ უყურადღებოდ. სწორედ სადმელომა ბაეშეებმა გატეხეს მურნებობის ორი ჰექტარი ყაძილი და წუჭეოვანი მცენარეების საცდელ სასურველ აქციეს იგი. ახლა მებარეშებობა 60 გრამი ამრეშების ჭიის მური აიყვანეს მოსავლელ და 140 კილოგრამი ხარისხივანი პარკი მიიღეს.

ახლაც ახსოვთ სადმელოს, ზნავეის, ბოსტანის კოლმურნებობების მშრომელებს მოსწავლეობის დუმიშხან კრესელთისა და ძამია მიქაიშვილის, იფეგზ ჯანგიძისა და გელა იაშვილის, ზაალ კიციძისა და ნიკოლოს ქიათაძის „საქაშენი საემბრონი“. — დაასრულა მისწავლებელმა.

— ალბათ ძირითადად მაინც სასწავლო ნაკვეთში ეუფლებიან თქვენი ბაეშეები შრომით ჩვევებს!

— რასაკვირველია. ნაკვეთში ძალზე საინტერესო სამუშაოებს ვატარებთ. მიზნად დავისახეთ შევინარჩუნოთ, ვამრავლოთ უძირკვეთელად მოიწყვეტებო და ვადაშენებოს პირის მისული ადგილობრივი ხეხილისა და ვაზის ჭიშები. ისინი ხომ შესანიშნავად ეგუებოდა ჩვენს პირობებს.

შრომის ნამდვილი ოროველაა გამეფებული ახლა სადმელოს საშუალო სკოლის ნაკვეთზე. წარმატებით იყენებენ ბაეშეები მეცნიერების სხვადასხვა სფეროში სასკოლო მერხზე მიღებულ ცოდნას. აქ, ამ საცდელ ლაბორატორიაში, სიამოვნებით ეუფლებიან მექანიზატორის მტვრად საპატიო პროფესოსს. იძენენ შრომით ჩვევებს, რათა სკოლის დამოუკიდებელი შემდეგ თამაშად დადგენ „თავთა სიმალაზე“. კიდევ უფრო ლამაზი და მომზიბილელი გახადონ ბუნებრივად ისედაც მშვენიერი თავიანთი კუთხე.

ენა ლინძე

მხატვარი
მ.ე. ანგოთაძე



თ ა ვ თ უ ზ ა

მ თ მ რ თ ზ ა

სუსხიანი ზამთარი იდგა, მშრალი, უთოვლო.

ყინვას ხის ტოტები გავერინჩხა თითქოს აღარასოდეს დაბრუნდებოდა გაზაფხულზე, არასოდეს გაიბრუნებოდა კვირტი და აღარ დაშვენიდებოდა მწვანე სამოსით.

ქარი მჭვივარებდა არსად ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. თავის უთვალავ დამძისთან ჩახუტებულ ხორბლის მარცვლებს — თავთუხასაც საწყობის ერთ ჯამ თხეში ტბილად ეძინა და ქარის მუქარას არაფრად ავებდა.

ხორბად ამომწვარი თავიე საქმიანი ფუსფუსით შემოირბენდა საწყობის კუბე-კუბულს, მიძვივით წვრილი თვალეების ცეცებით ხორბლის ზეინზე აცოცდებოდა, როდის, როდის ამოიგებდა უძლევ მუცელს, გაძლებოდა და მოკვეთილად გულის გამაწყვალებელ წრიბის. მალე წრეწუნიეც გამოიძლებოდნენ და უნდა გენახათ მათი ორომტრიალი! ეს ხმები მიზის ზარსა სცემდა თავთუხას. ამ როგორ არ შემინდებოდა! კარვად ესმარა, როგორ ავნატუნებდნენ აღმასაკიძობით და ნოქავენდნენ ეს ავაზაკები მის საცოდ და-ძმებს. მერე პირს ამოიგებდნენ ხორბლით და სორბოში ეზიდებოდნენ, აინუშიეც არ ავლებდნენ კარლად ხაფანგებს, სატყუარას ხომ ახლოსაც არ ვეარებოდნენ.

ერთხელ თავთუხა ლაზათიანმა მუჯლუგუნმა გამოაღვიძა. უფრო მიუღლო, არც ქარის გრილი ისმინდა და არც წრეწუნების საძაველი წრეწუნი. მისგან ცოტა მოშორებით მეტეცინა მარცვალს გაწლიკვლია, სახთლისფერი კისერი წაფრქვლებია და, რაც შეეძლო, მალამალა მიიწვდა.

— სად მიიწვე, შენს ტყავში დაეტე!

— ხიფათს არაფერს გადაყვარო, — უკეთებდნენ ხორბლის მარცვლები.

— გამატარეთ, მომწყინდა ამდენი ექმადა, ყოფნა!

და-ძმებმა უკახეს როგორც კი საყრდენი გამოეცალა, მეტეცინა დაგორდა და ძირს დაწარცხა. სორბის პირობა განაბულე წრეწუნას სიხარულისაგან უღვა: შეების ცმაყუნი აუტყდა, თვალის დაწმ ხამებამი მეტეცინასთან განჩნდა.

— წკაკ! — სწრაფად წააყვრიტა თავი და ხორჩი ლეითი პირი ჩაიკტბარუნა შემინებელი თავთუხა ხორბლის ზეინის გულში ჩაყურდა და გაინანა.

დრო ზღაზნითი გადიოდა. თავთუხასაც მოსწყინდა ერთფეროვანი ცხოვრება ძილი გაუკურია, გაზაფხულის მოახლოება თუ იგრძობი!

ზამთარი მიღუეულიყო. ჰაერში გაზაფხულის სუნე ტრიალებდა.

დილით საწყობის ქარის ჩხაკუნზე ხორბლის მარცვლებს გამოეღვიძათ თავთუხას თვლი მოსჭრა ღია კარიდან შემოჭრილმა მზის სიკაშკაშემ დატრიალდნენ თავსაფრიალი კოლმურნე ქალები. თავთუხა სხვა მარცვლებთან ერთად წაშლიან ხსნარში გაატარეს, გააშრეს მერე ვველანი ტომრებში ჩაყარეს. პირმოკრული ტომრები მანქანის ძარაზე დააწყვეს და, ჰერი! — კოლმურნეობის მიწვევისსაყენ

ხორბლის მარცვლებს ძალზე მოეწონათ ეს გასყურებება.

სატყობოთ მანქანებმა მიწდორი გადატყეს და იქ მოშლოდინე სათეს მანქანასთან შეტრდნენ. ხორბლით სავეტ ტომრები სათესი მანქანის ბუნერში ჩაყარეს მანქანა თუბუხით დაიძირა ბუნერში ჩაყარის დრის თავთუხას



შემაგულვა კომბაინი შავტუხა ბიჭმა. ცულქი ნიაგი ნახად უწვევად ჯურტი-ფერ ქოჩორს, ოფლით ზეჯაჯაქო მტარულს უგრილებდა.

კოლმეურნეთა სიმურგა-სიცულ-კის-კისსა და ერთმანეთთან შეჯიბრებაში ილეოდა ზაფხულის წარმტაცი დღეები კომბაინი კი მკიდა, ლეწავდა, ანიავებდა. კოლმეურნეები ჩქარობდნენ მოსავლის აღება-დაბინავენს. ხორბლით დატვირთული მანქანები ზედიზედ მიქროდნენ საწყობებისაკენ.

თავთუხას ნამიერს ეგონა, ყველაფერი ამით დამთავრდაო. აბა, რა იცოდა, რომ თავის საამაყო და-ძმასთან ერთად ბინას თესლისთვის განკუთვნილ საწყობში მიუწუნდნენ, ანდა წისქვილის გზას გაუყენებდნენ.

რაც არ იცოდა, იმაზე არცა დარღობდა.

მას მხოლოდ იმის გამო სტკიოდა გული, დიდ მინდორს, მზესა და დედამიწის უბე-კალთას რომ მოაშორეს.

სულ ერთი წუთით მოავლო თვალი გარემოს.

ირგვლივ შავად გადახნული მიწადორი გადაშლილიყო, ყოჩიანებს ია-ია, ფურისულა და გაზაფხულის თვალჭიატა ყვეგიები შესეოდნენ.

ლაბად დაქროდა ცელქი ნიაგი, საჭესთან მჯდარ შავტუხას ქოჩორს უწვევავდა, ოფლით დაცვარულ შუბლს უგრილებდი. ყველაფერი მზის მადლიან შუქს დაემშვენიებინა.

რა კარგი იყო დიდი მიწადორი, მაცოცხლებელი მზე, ანცი ნიაგი!

— უჰ, სული მეხუთება! — დაიკვნესა ბუნკერში ჩაკეტილმა თავთუხამ.

— აჰ სად ჩაკავაწყვდეს! ეი, ვინა ხართ, კარი გაგიღეთ!

— გასაძრომი არსად არის? თავს ვუშველოთ! — ახმაურდნენ მარცვლები. სწორედ ამ დროს ცხაურს თავი აუხადა და მარცვლებმა ერთიმეორის მიყოლებით ძირს იწყეს ცვენა. ისინი მიწაზე ეცემოდნენ და ზედ მიწა ეყრებოდათ. ასე დაითესნენ მარცვლები მიწაში.

იმ დამეს გაავდრდა.

წვიმისაგან დაჯირჯვლებული მარცვლები კანში ვეღარ ეტეოდნენ. სითბომ და ტენმა თავთუხას სიცოცხლის მოზღვავება აგრძნობინა. სიამოვნებისაგან განიშორა, ვიწროდ შემოტმასნილი კანი გასკვდა და იქიდან ნორჩმა ღივმა ანთებული სანთლის წვერივით ამოყო თავი. ჰორიზონტზე შემომდგარმა მზემ ოქროსფერი სხივებით თავთუხას ნორჩი ღივი

მალა ამოზიდა და ღივმა პირველად იხილა ესოდენ ლამაზი ქვეყანა. ლურჯად მოლილევიც ცის კაბადონს ახედა. თვალი მოსჭრა მზის ბრწყინვალეობამ.

ახალშობილი ღივის აზრით, ტყიანი მთაგრეხილების მიღმა, ყინულოვან მწვერვალებთან მთავრდებოდა ქვეყნიერება.

თვალი ჰკიდა დიდი მიწადრის რუხ კაბას, მუწანე ჯეჯილსა და ხეთა კორომებს რომ მოეჩინათ. სადღაც მალდა უზარმაზარი მზე ბრღვილალებდა და მაცოცხლებელ სხივებად ეფურქვებოდა დედამიწას. სანამ ყველაფერს შეხაროდა და შესტრფოდა, თავთუხას სანთლისფერი ღივი მზემ მუწანედ აახახასა.

ჯეჯილმა ზღვასავით იწყო ღელვა, მერე წელში გაიმართა, მტკავლის სიგრძე თავთუხი გამოიბა და მზის სხივისფერი დაიკრა. თავთუხს ძირიდან წვერომდე ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი პეწაწკინტელა ჯამები ჰქონდა შემორტყმული. ჯამებში ჰყინტი ხორბლის მარცვლები იხსდნენ — ეს ოდოფლერი გახლდათ.

მკათათუფში თითოეულ ჯამში უკვე შეინდის კურკის სიმსხო, მჭერივი მარცვლი იჯდა. თავთუხას თავთავშიც მზის მცხუნვარებით გაწიკწიკებული სამოცი-სამოცდაათი მარცვალი შეგმლოთ დაგეთავალათ.

ყანა დაპურებული იყო. დიდ მინდორზე ზღაპრული რამივით





ჩამჯანობა სიჭყვა პროფესიულ განათლებლა

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დადევანდელ დონეზე, თანამედროვე წარმოებაში მუშისა და ინჟინრის საქმიანობაში საერთო მეტია, ვიდრე განსხვავება. მამაკალში ეს განსხვავება კიდევ უფრო შემცირდება, ამიტომ დღეს მუშას აუცილებლად სჭირდება სრული საშუალო განათლება და საინჟინრო ცოდნის მთავარი ელემენტი. ამიტომაც დაიწყო ამ რამდენიმე წლის წინათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გადსვლა სწავლების ახალ, პროგრესულ ფორმაზე. შეიქმნა საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. იმ სასწავლებლებში რეკლასამთავრებული მოსწავლეები სრულ, ზოგად საშუალო განათლებასთან ერთად პროფესიასაც იძენენ.

მაგრამ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი საშუალო სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის უბრალო შეკავშირებული ნაერთი როდია, პროფესიის შექმნა და მეცნიერების თეორიული საფუძვლების შესწავლა აქ ერთ უწყვეტ პროცესშია პარამონიულად შერწყმული. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, მეცნიერების თეორიული საფუძვლების შეთვისება ეხმარება მოსწავლეს პროფესიის უკეთ დაუფლებაში, პრაქტიკული სწავლება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ უფ-

რო ღრმად გაიგონ თეორია. ნათლად გაერკვნენ თეორიის პრაქტიკულად გამოყენების გზებში.

ზოგიერთი მოსწავლე და, რა დასაძალია, ზოგიერთ მოზობელი შეცდომით ფიქრობს, თითქოს პროფტექნიკური სასწავლებელში სწავლა ზღუდავდეს უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას.

საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი აბიტურიენტების მოსამზადებელი დაწესებულება როდია. ვისაც მსახიობი, ფილოლოგი, ისტორიკოსი ან ფიზიკოსი სურს გახდეს, მან, რა თქმა უნდა, საშუალო სკოლის მეცხრე კლასში უნდა გააგრძელოს სწავლა, მაგრამ ვინც საინჟინრო ან აგრონომიული, საერთოდ ტექნიკური უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობს, თამამად ვურჩევთ სწავლა საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მეცხრე კლასში გააგრძელოს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლებლების ძირითადი მიზანი კვალიფიციური მუშა-სპეციალისტების მომზადებაა, ისინი, როგორც არც ერთი სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულება, შესანიშნავ საფუძველს ქმნიან უმაღლესი საინჟინრო განათლების მისაღებად. წარმოადგინეთ ორი ინჟინერი, რომლებმაც ახლანა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი: ერთი ინსტიტუტში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკო-



ლის მერხიდან მივიდა, მისი, როგორც ინჟინრის ცოდნის მარაგში თეორიული ცოდნა, სულ ცოტა 90-95 პროცენტს შეადგენს, დანარჩენი ინსტიტუტში შეძენილ მცირე პრაქტიკულ ჩვევებს უჭირავს. მეორემ ინსტიტუტამდე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. ასეთი ინჟინერი არაფრით ჩამოუვარდება თეორიაში პირველს და ამასთანავე მას პრაქტიკული მუშაობის შესანიშნავი სკოლა აქვს გავლილი. ის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბებული ინჟინერია. გასაგებია, რომ მეორე ინჟინერი მეტ წარმატებას მიაღწევს წარმოებაში. ეს ცხოვრების მიერ არაერთგზის არის დამტკიცებული.

შესანიშნავი პერსპექტივები ისახება საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების იმ კურსდამთავრებულთა წინაშე, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში მიდიან სამუშაოდ. ისინი უფრო სწრაფად იზრდებიან, როგორც სპეციალისტები, მეტ წარმატებებს აღწევენ შრომაში.


სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლიდან მოსული მუშა მჭიდროდ უკავშირდება წინდებულ პროდუქციას უშვებს, ვიდრე უმაღლესი სპეციალობა მოკლევადიან კურსებზე შეიძინა. მეტია მათი გამოუმუშავებუც. საკვალიფიკაციო თანრიგს ისინი 2-3-ჯერ სწრაფად იმაღლებენ. საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები უპირველესად ჩვენნი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს უწევენ რეკომენდაციას უმაღლესი სასწავლებლების სადაოს დასწრებულ განყოფილებებზე სწავლის განსაგრძობად.

საშუალო სკოლის მოსწავლეები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მერვე კლასს ამთავრებს, სულ უფრო ხშირად უფიქრდებიან მომავლის რომელი გზა აირჩიონ, სად განაგრძონ სწავლა: მშობლიური სკოლის IX კლასში, თუ ახლავ იზრუნონ პროფესიული განათლების მიღებაზე? მაგრამ რა იციან ჩვენმა მერვეკლასელებმა პროფესიულ განათლებაზე? წუთით გადადეთ ჟურნალი და ჩამოთვალეთ, რამდენ პროფესიას იცნობთ. შეიძლება გაიხსენოთ რამდენიმე მათგანი, უფრო სწორად, მათი დასახელება, მაგრამ მათი დახასიათება ვერც კი მოახერხოთ. ამიტომაც საჭიროა, მერვე კლასში კი არა, უფრო ადრე ჩაუფიქრდეთ, რა არის პროფესიული განათლება, რა არის ესა თუ ის პროფესია, რომელი პროფესიის ათვისებისათვის ვარ მე უფრო მეტად მზად?

სამწუხაროდ, ჩვენი მოსწავლეების გარკვეული ნაწილი სერიოზულად როდი ეკიდება პროფესიის არჩევის საქმეს.

პროფესიის არჩევა მომავალი ცხოვრების გზის არჩევაა, პროფესიის შეძენა კი — ადამიანის მეორედ დაბადება.

ძნელია დაასახელო რაიმე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული, ვიდრე ადამიანის მიერ ცხოვრების გზის არჩევა. მომავალი პროფესიის არჩევით ადამიანი ირჩევთავის ადგილს საზოგადოებაში, და იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად არის გაკეთებული ეს არჩევანი, იცვბ



ან აგებს, როგორც საზოგადოება, ასევე თვითონ ადამიანი.

პროფესიის არასწორად, საყუთარი ცოდნის, შესაძლებლობისა და მიდრეკილების გაუთვალისწინებლად, საზოგადოების მოთხოვნილების, სახალხო მეურნეობის პერსპექტივების გაუთვალისწინებლად არჩევა არაერთგზის ყოფილა ბევრი ახალგაზრდის ჩამორჩენისა და საყუთარი საქმით, ცხოვრებით უკმაყოფილების მიზეზი. ბოლო პროფესიის გამოცვლა, როდესაც მის შეძენას უკვე შეათე მრავალი წელიწადი, ადვილი საქმე როდია!

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის მთავარ თემს — პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, პროფესიულ განათლებას.

ახალი, 1976-1977 სასწავლო წლისათვის პროფტექ-სასწავლებლების რიცხვი 97-ს მიაღწევს. ამ სასწავლებ-

ზადებენ. ბოლო წლებში ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღება საკონკურსო შერჩევით ხდება, ამჟამად დღისა მსურველთა რიცხვი.

გაგონათა ასპარეზო მსუბუქი და კვიბის მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიებია. დღეს ვერ ნახავთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგების საწარმოს, სადაც პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები არ შრომობდნენ.

მოკმედეგის რა ასპარეზი იშლება მიმდინარე ხუთწლიელ მომენტების წინაშე? მეთუ ხუთწლიდი ხომ აღმშენებლობისა და ხარისხის მართვითაა! აშენდება მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ზინა, ქარხნები, ფაბრიკები, რკინიგზები, ზიდეები, კულტურის სახლები და სტადიონები, ის რაც ბევრ და ბევრ თაობას მოემსახურება და როგორც დღევანდელი დროის ძეგლი დარჩება შთამომავლობას. მარტაც რომ საშაყუა იყო ამ დიდი ეროვნული საქმის თანამონაწილე!

შუქმდეგელია საყურანლო წერილში ოლაპარაკო ყველა პროფესიაზე, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა ფეროზე, სადაც თავიანთი ცოდნა და მონდომება შეუძლიათ გამოიყენონ სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა, მათ, ვინც უნდა შეცვალოს საუყურის ბოლო მეოთხედში ჩვენი სახელოვანი შრომის ვეტირანები.

„ა თასზე მეტ ახალგაზრდა მუშა-სპეციალისტს აზადებენ ყოველწლიურად პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები. მომავალში მათი რიცხვი გაროკცდება. მეთუ ხუთწლიელში ოცდაათი ახალი პროფტექნიკური სასწავლებელი შეემატება რესპუბლიკას. ამ სასწავლებლებში ყველა პირბა იქნება იმისათვის, რომ ახალგაზრდამ შეიძინოს სრული საშუალო განათლება. ღრმა პროფესიული ცოდნა, მიიღოს იდეური და ფიზიკური სრობა.“

ჩვენი საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები უკვე გადავიდნენ სწავლის კაბინეტურ სისტემაზე. ეს ნიშნავს, რომ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო და თეორიულ დისციპლინაში მეცადინეობა ამ საქმისათვის განკუთვნილ კაბინეტში, ლაბორატორიაში ტარდება.

მოსწავლეთა პროფესიულ განათლებას ემსახურებიან თანამედროვე მანქანებით, ჩარხებით, დანადგარებით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები.

სასწავლებლებში მოღვაწეობენ შესანიშნავი პედაგოგები, ინჟინრები, საწარმოო სწავლების ოსტატები.

საკმარისია ჩამოვთვალოთ სოციალისტური შრომის გმირების: ეთერ სოლომონისა, ოსტე ბაზაჩაძის, შოთა ფირცხალავას, გრიგოლ ბოგვარაძის, ალექსანდრა გამყრელიძის, კონსტანტინე მდივნის, ბორის ვაშაქიძის, დავით ბაღდაძის, გრიგოლ დოლონაძის, ივანე ბაღოშვილის, ნიკოლოზ მედიოშვილის, ლენინური პრემიის ლაურეატის პავლე წერეთლის სახელები. ამ გვარებით ამაყობს არა მარტო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები, არამედ მთელი რესპუბლიკა. აქედან ნათელია, თუ რა დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე ვაყუთ ჩვენი ახალგაზრდობა პროფესიულ განათლების სკოლებს. მათ უნდა ზაძედეს ყველა მოსწავლენ, ყველა ახალგაზრდა, ვისაც სურს მოძებნოს თავისი ადვილი ჩვენი საზოგადოებაში, აიარის ცხოვრებაში სწორი გზა. განიცადოს კაცური შრომისა და ცხოვრების სიხარული.



ლებში ორასზე მეტ პროფესიას ასწავლიან. არ არსებობს საქართველოში სახალხო მეურნეობის დარგი, არ არსებობს საწარმო, რომელთათვის არ მზადდებოდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.


სოფლის მეურნეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლისათვის საჭირო, სოფელში გამოსადეგი სპეციალისტების აღზრდას. დღევანდელ სოფელში ყველაზე პოპულარული პიროვნება მექანიზატორია: ტრაქტორისტი, კომბაინერი, ჩაის სარევი მანქანის მძღოლი, მეცხოველეობის ფერმის ოპერატორი.

სულ ცოტა ხნის წინათ დამიანს ესამუშეოდა, ყალბად ეჩვენებოდა სიტყვათა ასეთი კავშირი — „მეცხოველეობის ოპერატორი“. იგი თანამედროვე ქარხანა-ფაბრიკებისათვის დამახასიათებელი პროფესიაა და ასეთი პროფესია შემოიჭრა მეცხოველეობაშიც, რადგან დღევანდელი საკონლის გასასუქებელი ან შეფერინებლების ფერმა, სამარწველო საწარმო უფროა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო. აი როგორ შეიჭრა ტექნიკა და ავტომატიკა ჩვენი სოფლის მეურნეობაში!

მრეწველობაში წამყვანი დარგი მანქანათმშენებლობაა. მანქანათმშენებლობაში წამყვანი კი ლიონდამამუშავებლის, მდარავის, ბარატისა და ამწყობი ზეინკლის პროფესიაა. ამ პროფესიათა პრესტიჟი განსაკუთრებით ამაღლდა ამ ბოლო წლებში. ამიტომაც არც ისე ადვილია ჩაირიცხო პათოქის № 1, ქუთაისის № 4, თბილისის № 5, 6, 38, წულუკიძის № 8 პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც ამ პროფესიის სპეციალისტებს ამ-

ამირან შენაშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახ. კომიტეტის კოლეგიის წევრი, ქ. თბილისის პროფგანათლების განყოფილების გამგე.



Cogito ergo zum!

ნუგზარ ანუხაზაძე

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვარი რამზა ცაყაჩიანიძე.

1. ორიოდე სიტყვა შემთხვევის სიბრძნავის

ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ უკვე შენიშნავდით, რომ ჩემი მოთხრობების დიდი უმრავლესობა იახტა „ფარნავაზით“ მოგზაურობისას მომხდარ რაიმე შემთხვევასთან არის დაკავშირებული. საესეზო შემთხვევით მოვხვდები, მაგალითად, პლანეტა ვაიდაზე, სადაც ხათუნა ხავთასის ნათელი სულის ერთ სხივს წაეაწყდი; ან კიდევ, სულაც არ უაპირებდი აინემრაზე დაშვებას, დედამიწის კოსმოდრომის ტექნიკოსს რეგენერატორის დეტალები რომ არ არეოდა, ასევე შემთხვევითი იყო ჩემი ვიზიტი პლანეტა ილისზეც; ხომ შეიძლება, სულ რაღაც ნახევარი საათით აღრე გაშველო ის სექტორი, სადაც ამჟამად „სიუ-5“ ატომურპრაივიანი კრიისერი მამაკურად ებრძოდა სიცილიოს ანრდისს, და მე აღარ მომეცემოდა პეროვიან პილასთან — უმშვენიერეს და უხანუს იდისელ ქალიშვილთან შეხვედრის საშუალება.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს გარემოება სულაც არ მაფიქრებს და არ მუშინია იმ კრიტიკოსებისა, რომლებმაც შეიძლება საქვეყნოდ მივიციინო შემთხვევებისადმი ასეთი მიდრეკილება და დელიკატურად შემახსენონ ძველი ხალხური თეზისი — „შემთხვევა ბრძაო“. ასან კი ორი მიზეზი აქვს: ა) ჩემი მოთხრობების თემად შეგნებულად ავირჩიე შემთხვევები, რადგან სწორედ მათთან არის დაკავშირებული მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი, საინტერესო სიტუაციები, ასე ვთქვათ, მზამზარეული სიუჟეტები; რაც შეეხება აუცილებლობას და კანონზომიერების კატეგორიებს, დაინტერესებულნი

შემთხვევი მსგელობას მათ შესახებ ჩემს მეცნიერულ სტატიებსა და სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებში იპოვის. ბ) შემთხვევითობა, ბოლოს და ბოლოს, იგივე აუცილებლობაა. აუცილებელი და შემთხვევითი ერთი მთელნის ორი მხარეა. აუცილებლობა მხოლოდ შემთხვევით მოვლენებში შედგენდება; მოვლენა, რომელიც სამყაროს გარკვეულ წერტილში და დროის გარკვეულ მომენტში ხდება, შეიძლება შემთხვევითობად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში კი იგი სწორედ რაღაც კანონზომიერებამ განაპირობა; ცხადია, არსებობდა მიზეზი, რომელსაც ეს, ასე ვთქვათ, შემთხვევა აუცილებელ შედეგად უნდა მოჰყოლოდა. რაიმე მიზეზის შედეგი კი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, ვინაიდან შედეგი იმთავითვე, თვით მიზეზშივე მოცემული.

„ის გარემოება, რომ მუხუდის ამ ჭოტში არის ხუთი და არა ოთხი ან ექვსი მარცვლი, რომ ამ ძაღლის კუდი არც ერთი ნახით არც გრძელია და არც მოკლე, რომ წლულს ფუტკარბა გაანაყოფიერა სამყაროს ეს და არა ის ყვეოლი და გაანაყოფიერა სწორედ ამ ფუტკარბა და ამა და ამ გარკვეულ დროს... — ყველა ის ისეთი ფაქტებია, რომლებიც მიზეზისა და შედეგის ისეთი უკონო ვადამბელობისაგან ურყევი აუცილებლობით წარმოდგარა და ამასთან ისე, რომ აირის ის გროვა, საიდანაც მზის სისტემა წარმოიშვა, ისე იყო მოწყობილი, რომ ეს მოვლენები სწორედ ასე უნდა მომხდარიყო და არა სხვანაირად“.

(ამონაწერი ფ. ენგელსის „ზუნების დიალექტიკიდან“, XIX საუკუნის მეორე ნახევარი).



ამ თემაზე სიტყვა ასე იშობა გამოგრძელდა, რომ წინამდებარე ამბავსაც შემოხვევა, უფრო ზუსტად, შემოხვევათა მთელი ჩაკვი დაედო საფუძვლად.

2. „მეხისის, მოვლინარს“

ეს ამბავი, ბატონო ჩემო, „კოსმოსურ მოვალეობათა ენციკლოპედიური მატრიასის“ 69-ე ტომში (გვ. 598) „ფარნავაზის“ მე-7 რეისად არის ჩაწერილი. თუ დანიტერესდებით და იმ ტომს გადმოიღო. ვახოვი დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიტყვებს: „შხოლოდ ასტრონავტ უტა ფოზის მიხედვითობამ, განსწავლეთობამ და მაღალმა პრაქტიკულმა დონემ...“ და ასე შემდეგ... საქმე ის არის, რომ, როგორც აღრევე მითქვამს, ვახსიეთობებულ არაფერს გამოცემა და ჩემს ადგილას სხვაკაცევე მოიტყვედა. ამირაგვი, მე მეორისა, სულაც არ იყო საჭირო ქება-დიდება, რომელიც სტატიის ავტორმა ჩემთვის გამოიშტა, საერთოდ, ვფიქრობ, ამგვარი ტონი ყველაზე ნაყლებად შეეფერება ისეთ სერიოზული გამოცემას, როგორც „კოსმოსურ მოვალეობათა ენციკლოპედიური მატრიასი“ გახლავთ. მართლაცდა, სად — მატრიასე და სად — ენციკედი!

R-383 სექტორის ცვლევით რააც შეშვიდე რეისის პროცესის შეადგენდა, მთელი 2447 წელი და 2448 წლის გაზაფხულის ნაწილი მოვალეობაზე. გამოცეცეცებით, ფრიადავილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ცვლევის შედეგებით ძალზე ცაყოფიერი დაერჩია. ჰოდა, „ფარნავაზი“ მისი სისტემისაგან შემოვარბუნე თუ არა, მაშინვე მოპოვებულ მასალის დამუშავებას მოელოდ ხელი იმის ნაცვლად, რომ ანაბოზს მიეცემოდო და დღემდეაღად გადაჭიმული სამწლიანი სივრცე გულიან ძილში გადამეფრინა. ვარდა ამისა, დროს მოვების მიზნით შორ გზას ახლო გზა ვარჩიე და იახტას ნაყლებად შესწავლილი ზონისაგან მივეცი გეზი.

R-384 სექტორში შევიდი თუ არა, RT Cop ცვლევის ჩაყვრად, რომლის პერიოდულობა 5 საათსა და 55 წუთს უდრის.

„1784 წელს 19 წლის პოლანდიელმა ასტრონომმა: ჯონ ჰედრაიამა ლონდონის სამეფო საზოგადოებას წარუდგინა ბრწყინვალე გამოკვლევა ცვეფვის დელტის ვარსკვლავური ელვარების პერიოდულ ცვლებადობათა შესახებ: 5 დღე-ღამის, 8 საათის, 52 წუთისა და 48 წუთის პერიოდით ცვეფვის დელტა რეგულარულად იცვლება თავის ელვარებას.“

... ჯონ ჰედრაიკი ბავშვობიდანვე განირჩეოდა თანადროდვე ტოლთაგან. იგი მუდამ მარტო თამაშობდა, ყურადღებას არ აქცევდა, რა ხდებოდა მის გარშემო, რადგან... დაბადებით ყრუ-მუნჯი იყო, ამ ნაკლის მიუხედავად მან ბრწყინვალე განათლება მიიღო ინგლისში, 17 წლის ჯონის სახელს უკვე მსოფლიოს ყველა ასტრონომი იცნობდა. 21 წლისა კი ვარდაიცვალა...

ჰედრაიამა ფაქტურად ცვლებად ვარსკვლავთა მთელი ახალი კლასი აღმოაჩინა, რომელსაც, პირველდამიხეილი ვარსკვლავის მიხედვით, ცემადეზების კლასი ეწოდა...“

(ამონაწერი ჭველი, ვლამეობეული წიგნიდან).

RT Cop ცვეფვის ვარშემო 17 დიდ-პატარა პლანეტა უელის ხორბოს. ჩემმა ჰეკინამა კომპიუტერში „ფარნავაზი“ მეათე და მეათეობეტი პლანეტათა შორის ვადაშელოდი, მილიონნახევარი კილომეტრის სივანის „დერეფნისაგან“ წარამართა. თითქმის ყველაფერი რიგზე იყო,

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მხარამარცხნივ და მარჯვნივ ორივე პლანეტა თითქმის ჩვენებურ მთაობისაგან: აკამსებდა, ასტრონომების კოსმოსურ კარავის წინაგაყვითი კოდეე კარგი, კომპიუტერმა ეს შეწყვიტა. მენიშმა, ისე რომ, პლანეტარობის ჩართვა არც დამეორებია. „ფარნავაზმა“ მეფერობა ვაუზნა მარცხნივ და ხეთიოდვე საათი ამ მიმართულებით იფრინა, როცა მეათე პლანეტამდე სულ რაღაც ოთხი ათასამდე კილომეტრი დაჩა, ასტრონომების ფრონტსაც ვაყვითი. და ის იყო იახტა ძველ ვებს უნდა დაბრუნებოდა, რომ სალონში უჩვეულო სივანლი გაისმა.

უჩვეულო-მეთუი, ვამბობ, რადგან ჩემი კოსმოსური ოდენის მანძილზე ეს სივანლი პირველად ვაგივიცნობით კი აღრევე ვიცნობდი, ჭერი კიდეე მოწყაფობისა შემასწავლეს მისი მიღებისა და ვადაცების წესები. ვინადაც იგი სავალდებულო და ერთბაისა NR მიკროსკოპიკაის პლანეტისათვის.

სამი წერტილი, სამი ტრეე, სამი წერტილი... სამი წერტილი, სამი ტრეე, სამი წერტილი... Sos! Sos! Sos! აბეჭვი ჰგონია, რომ Sos პირველი ასოებია ინგლისური ფრანზისა Save Our Souls (ჩხენიო ჩხენიო სულელები), ან Save Our Ship (ჩხენიო ჩხენიო ვაღი-სინამდვილეში Sos არის მოკლე, რატომღაც რადიოსივანლა, რომელშიც ამ ფრანზისთან საერთო არაფერი აქვს. იგი ვაუშუარავდაც ვასაგებია, მის გადაცემა და მიღება შეიძლება სწრაფად და ადვილად, ვადაცემა შეუძლებლად. ბგერათა შორის უკაუზოდ, ყველა ქვეყნისა და ხმამაღლის რადიოსადგურებმა ეს სივანლი რიგვარზე უნდა მიიღონ საერთაშორისო შეთანხმების თანახმად. Sos სივანლისთვის განთავსდებულა 500 კილოპერტინი სის-შირის არხი და სხვა ვადაცემაში ამ სიზპირზე სის-ტრეად აერძალა...“

(ამონაწერი XX საუფუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი კომუდარული წიგნიდან).

მეორე აღრეე ვახოვობით, „ფარნავაზის“ მთავარ სალონში ხათენა ხათისას სასხლოერი დადალების დღეებზე ნაწუქარი ადამისდროინდელი რადიომიმულები მიღება-მეთუი. მართალია, არსებობს ევროპის სხვა უფრო თანამედროვე საშუალებები (რომლებსაც, სხვათა შორის, საქაო წარმატებით ვიყენებ საქორეებისა), მაგრამ ხათენას ნაქონ რადიომიმულებს ვერა და ვერ შევივლი, მისი ისარი მუდამ ხუთას კილომეტრთან დაიაზონში მიყენია და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ განწირულთა ძახილი სწორედ ამ მიმდებლამ მომივლინა.

თუმცა თითქმის უკვებეცხლად ვიცილი, საიდანაც მოდიოდა სივანლი, მაინც ინტუიციას არ ვენებ და დაუყოვნებლო განსწავლზე შევნივქე. ჰელევატორმა და-ნიშნა, Sos სივანლის წყარო RT Cop ცვეფიდის მეათე პლანეტაზე იყოფებოდა.

მაშინვე ვარსკვლავთკატალოგს ვეყო, ბედად, ჩემი ცვეფილი სწრაფად ვიპოვე, მაგრამ იმდენი გამიკრევედა — მის პლანეტათა სისტემაზე კატალოგში მტკბედუნენი ცნობები აღმოჩნდა დაეადგინე ბოლოდ ის, რომ, ვილენ ანდრევეის ექსპლეთიკის ცნობით, მეათე პლანეტაზე, რომელიც R-384-A-3 სახელით იყო აღნიშნული,

1 | პლანეტარიონ — ქვემები, რომელიც პლანეტის ცვატებს ისერის მისი ძირითადი დანიშნულება კოსმოსური ხომალდის გზის გაწეუნდა ასტრონომებისგან ფანც).

2 | მთენებე — უკუნე კოსმოსის ისრის მიმართულებასა და იმ მიმართულებას შორის, რომლის გაყოლებითაც ჩანს სავანი ან ისმის ბგერა.



საქართველოში

ნორმალური ატმოსფერო და ხშირი, ნარევიანი მკენარული საფარი არსებობდა. ცხველითა სმაყარო კი მხოლოდ ერთპირიანი ორგანიზებით იყო წარმოდგენილი. ამვე ცხოვრებას ადასტურებდა ექსპედიციის „ნავსაყო“, რომელიც პლანეტას სამი წლის შემდეგ ეწვია.

უნებლით ვამელომა, როცა წარმოვიდგინე მორხეს აპარატთან მიმდებარე შემოთრებული ბაქტერია და ინფუზორია, მაგრამ მაშინვე მივლოდე, რადგან მოულოდნელად ექვმა ვამყარა — ვითურც ეს ძახილი კოსმოსური კონტაქტით დასმებული რომელიმე ხომალდის ექსპანსიული ამოკვეთა-მეთქი. ან ხომ შეიძლება ვიფიქროთ რომ ექვსაქის ნაწილმა პლანეტაზე დაშვებით მიხარება და სივანლასც ის გზავნის.

ახლა, ბატონო ჩემო, გულზე ხელი დაიდეთ და მიპასუხეთ, რას იხამებთ, ჩემს ადვოკატს რომ ყოფილიყო ვით? ვითომ უდრტივებულ და აუღლებელად განაგრძობდით გზას? რა თქმა უნდა, მაგრამ რეზიტი ჩაწერილი SOS სივანლის წამლა არავითარ სინეფესთან არ არის დაყვარებული, მაგრამ მერე, დედადოვრე დაბრუნებულს, მოგასვენებდათ კი სინეფეს იმის გამო, რომ ვიღაც გაიკრეხებულს ხელი არ გაუწოდეთ? გაძღლებდით კი ყალბე შემადგარი სინდისის ქენჯნას?

ვეკვებ, ბატონო ჩემო, ვეკვობ...
